

ვალერიან მეტრეველი
გიორგი ღავითაშვილი

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია

(ლექციების კურსი)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

1999

თავი XVII

ქირითადი პოლიტიკური და სამართლებრივი შესჯედლებანი აშშ-ში XVIII-XIX საუკუნეებში

§1. აშშ-ის პოლიტიკური და სამართლებრივი შესჯედლებების ზოგადი დახასიათება

თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ინგლისური კოლონიები XVII-XVIII საუკუნეებში შეიქმნა. კოლონიების უმრავლესობა XVIII საუკუნის II ნახევარში უშუალოდ დაექვემდებარა ინგლისის სამეფო ტახტს და იმართებოდა ინგლისის მეფის მიერ დანიშნული გუბერნატორების მეშვეობით. ორ კოლონიას მართავდნენ ინგლისის სავაჭრო კომპანიების წარმომადგენლები, რომელთაც ეს კოლონიები მეფისაგან მიიღეს, სამი კოლონია კი ერთპიროვნულ მესაკუთრეებს ეკუთვნოდა. მეტროპოლია ყველა სფეროში ძალზედ ზღუდავდა კოლონიის ტებს. XVIII საუკუნის 70-იან წლებში ამერიკულ კოლონიებსა და მეტროპოლიას შორის წინააღმდეგობა ძალზედ გამწვავდა, რასაც მოჰყვა 1775-1783 წლების ომი, რომელიც ამერიკელთა გამარჯვებით დასრულდა. ინგლისის კოლონიებში ბატონობის წინააღმდეგ იდეური ბრძოლა კი უფრო ადრე დაიწყო. XVIII საუკუნის 60-იან წლებში მას საკმაოდ აქტიური ხასიათი ჰქონდა. კოლონიის ტები მოითხოვდნენ მხოლოდ კოლონიების პოლიტიკურ-სამართლებრივი რეჟიმის გათანაბრებას იმ რეჟიმთან, რომელიც ინგლისში არსებობდა.

70-იან წლებში კოლონიის ტების მოთხოვნები უფრო რადიკალური გახდა. ამ მოთხოვნათა დასაბუთება ხდებოდა ბუნებით-სამართლებრივი დოქტრინის მეშვეობით, რომელიც მაშინდელ დასავლეთ ევროპაში იქნა შემუშავებული.

ბუნებით-სამართლებრივი არგუმენტაცია, ე.ი. ადამიანის ბუნებითი და განუსხვისებელი უფლებებისადმი აპელაცია, საფუძვლად დაედო 1776 წლის 4 ივლისის ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რომელიც დაწერა ტ. ჯეფერსონმა, ბ. ფრანკლინისა და ჯ. ადამსის მონაწილეობით და მიღებულ იქნა ყველა კოლონიის კონტინენტურ კონგრესზე. ამ დეკლარაციით ინგლისმა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა აღიარა.

დეკლარაციის ჯეფერსონისეულ ვარიანტში ადამიანის განუსხვისებელი უფლებების დასაბუთებაა მოცემული. აქ აღნიშნულია, რომ ადამიანები თანასწორნი არიან. მათ ღმერთის მიერ მინიჭებული აქვთ განსაზღვრული განუსხვისებელი უფლებები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება. ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად კი ადამიანები ქმნიან მთავრობებს, რომლებიც თავის თავზე იღებენ სამართლიანი ხელისუფლების განხორციელებას მმართველობის ქვეშ მყოფთა თანხმობით; თუ მმართველობის რომელიმე ფორმა არღვევს ამ პრინციპებს, ხალხს აქვს უფლება შეცვალოს ან გააუქმოს იგი და დაამყაროს ახალი სამთავრობო ხელისუფლება, რომელიც ისეთ პრინციპებს ეყრდნობა, რომლებიც, ხალხის აზრით, უზრუნველყოფს მის უშიშროებასა და ბედნიერებას. შემდეგ აღნიშნული იყო, რომ უმნიშვნელო და წარმავალი მიზეზების გამო მმართველობის ფორმათა შეცვლა მიზანშეუწონელია, მაგრამ ეს აუცილებელი და გადაუდებელია იმ მომენტიდან, როცა აშკარა ხდება ხელისუფლების განზრახვა დაუმორჩილოს ხალხი საკუთარ თვითნებობას ან აბსოლუტურ დესპოტიზმს. ასეთი ხელისუფლების დამხობა ხალხის არა მარტო უფლება, არამედ ვალდებულებაა.

ბუნებით-სამართლებრივი თეორიის ასეთი განმარტების საფუძველზე ჩამოყალიბდა და გამოცხადდა სახალხო სუვერენიტეტის კონსტიტუციური პრინციპი, აგრეთვე ხალხის პოლიტიკური თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლად არსებობის უფლება. ამით დეკლარაციაში დასაბუთებულ იქნა ამერიკელი ხალხის უფლება შეექმნა თავისი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო. თავდაპირველად ჩამოყალიბდა შტატების კონფედერაცია, თუმცა ომის დამთავრების შემდეგ გაჩნდა მოთხოვნილება შტატებს შორის კავშირის განმტკიცებისა და ფედერალური მთავრობის

შექმნისა. ამ მიზნის განხორციელებისათვის 1787 წლის მაისში შეიქმნა კონსტიტუციური კონვენტი. ფილადელფიის კონსტიტუციურმა კონვენტმა შეიმუშავა ფედერალური კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა 1787 წლის 17 სექტემბერს და ძალაში შევიდა 1789 წლის 4 მარტს. ამ კონსტიტუციით განმტკიცდა რესპუბლიკური წყობა, გაუქმებულ იქნა ყველა წოდებრივი პრივილეგია და სათავადაზნაურო ტიტული.

კონსტიტუციით გამოცხადდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი - საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. თუმცა ამ დოქტრინამ ამერიკულ სინამდვილეში ახალი სახე მიიღო. ადამსის თეორიული ნოვაციების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულების იდეას დაემატა „ურთიერთშეკავებისა და შეწონასწორების“ სისტემის იდეა, რის თანახმადაც ხელისუფლებათა შორის წონასწორობის მისაღწევად სასურველია არა მხოლოდ მათი განცალკევება, არამედ მათი უფლებამოსილებების ნაწილობრივი შეთავსებაც, მაგალითად, თუ აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად იქნება ჩამოცილებული საკანონმდებლო ფუნქციების შესრულებისაგან, ადამსის მოსაზრებით, წარმოიქმნება მისი წინააღმდეგობა საკანონმდებლო ხელისუფლებასთან და ეს არ დასრულდება მხოლოდ მეტოქეობით, რადგანაც მთელი ხელისუფლება, საკანონმდებლოცა და აღმასრულებელიც, შესაძლოა, უზურპირებულ იქნეს კონფლიქტში უძლიერესის მიერ, ხოლო სასამართლო ხელისუფლება ვერ შეასრულებს შეამავლის როლს დაპირისპირებულ ხელისუფლებათა შორის, რადგანაც მას აუცილებლად შეავიწროებს ერთ-ერთი ხელისუფლება, ამიტომ არის, რომ კონსტიტუციით ხელისუფლების თითოეულ შტოს უფლება აქვს ზემოქმედება მოახდინოს ხელისუფლების სხვა შტოზე, გაანეიტრალოს მისი არაკონსტიტუციური და სხვა მოქმედებანი. კონკრეტულად ეს გამოიხატება პრეზიდენტის - აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის - უფლებაში ვეტო დაადოს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონს, ხოლო კონგრესს კი პირიქით, უფლება აქვს გადალახოს ეს ვეტო, უარყოს პრეზიდენტის კანდიდატურები ფედერალურ თანამდებობაზე, პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიმართ განახორციელოს კვიზიტის პროცედურა და სხვა. ამ სისტემისათვის ასევე მნიშვნელოვანია უმაღლესი სასამართლოს წევრთა დამოუკი-

დებლობა.

მე-19 საუკუნეში აშშ-ში პოლიტიკური კონფლიქტები და ღრმა ცვლილებები მოხდა. კერძოდ, სამოქალაქო ომი, მონობის გაუქმება და სხვა. პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების თვალსაზრისით სიახლე ნაკლებნიშვნელოვანი იყო.

ჩვენ აშშ-ის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების განხილვას დავიწყებთ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და კონსტიტუციის შექმნის პერიოდთან.

§2. ბ. ზრანკლინის პოლიტიკური შეხედულება

ბენჯამინ ფრანკლინი (1706-1790) თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო, დაიბადა ხელმოკლე ოჯახში და უკვე ათი წლისამ მუშაობა დაიწყო, შემდეგ კი გამოჩენილ ამერიკელ განმანათლებლად და სახელმწიფო მოღვაწედ იქცა. ასევე აღსანიშნავია მისი სამეცნიერო ნაშრომები ელექტრობაში. სწორედ მან შემოიღო ელექტრულად დამუხტული მდგომარეობების აღნიშვნები „+“ და „-“, რომელიც ახლაც ყველგან გამოიყენება. იგი, როგორც სახელმწიფოებრივი მოღვაწე, მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა; იყო პენსილვანიის არჩევითი კრების წევრი, ეწეოდა დიპლომატიურ საქმიანობას. კერძოდ, ელჩად იყო საფრანგეთში, მისი ხელშეწყობით შემუშავდა ვერსალის 1783 წლის საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც დიდმა ბრიტანეთმა ცნო აშშ-ს დამოუკიდებლობა.

თავისი პოლიტიკური შეხედულებებით იგი თავიდანვე რესპუბლიკის მომხრე იყო, რამაც კოლონიების დამოუკიდებლობის მომხრეებთან დაახლოვა. 60-იანი წლებიდან იგი აღარ აღიქვამდა ბრიტანეთის იმპერიას, როგორც ერთიან პოლიტიკურ წარმონაქმნს და 1766 წლიდან ავითარებდა *პოუმრულის*, ე.ი. ჩრდილოამერიკული პროვინციების თვითმმართველობისა და პოლიტიკური თვითგამორკვევის იდეას. ფრანკლინი ამტკიცებდა, რომ ინგლისელთა ემიგრაცია ამერიკაში ნიშნავდა მათი მხრიდან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ინგლისის კანონებთან და კონსტიტუციასთან. ამის გამო კოლონისტები უკვე აღარ უნდა ჩათვლილიყვნენ ბრიტანეთის ქვეშევრდომებად თვით გადასახლების ფაქტის ძალით და ამიტომ არ უნდა

დამორჩილებოდნენ ბრიტანეთის პარლამენტის გადაწყვეტილებებს. 1769 წელს ფრანკლინმა პირველად უწოდა ჩრდილოამერიკულ პროვინციებს სახელმწიფოები (შტატები). ჰოუმრულის იდეა შემდგომ წლებში იქნა ატაცებული, განსაკუთრებით „ბოსტონის ჩაის სმის“ შემდეგ რადიკალური ორიენტაციის პატრიოტული პაძფლეტების ავტორების მიერ. ფრანკლინს ეკუთვნის შტატების კონფედერაციის გეგმის ერთ-ერთი ვერსია. იგი აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებლობის დეკლარაციის, კონფედერაციის მუხლებისა და ფილადელფიის კონვენტზე ფედერალური კონსტიტუციის პროექტის შემუშავებაში.

ფრანკლინი არ იყო რადიკალური პოლიტიკური გარდაქმნების მომხრე. იგი მხარს უჭერდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას და პარმონიულ განვითარებას. მას სწამდა, რომ ჩრდილოეთ ამერიკის სწრაფი პროგრესი მოსახლეობის, ტერიტორიებისა და სოციალური მიღწევების ხარჯზე გამოიწვევდა მეცნიერების იმ სფეროს სრულყოფას, რომელიც ევროპაში, მისი აზრით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგნორირებული იყო, კერძოდ, მეცნიერება პოლიტიკის შესახებ.

ფრანკლინი არ იყო არც მიაშიტი დემოკრატი და არც დემაგოგი. როდესაც გაიგო საფრანგეთში რევოლუციის დაწყების შესახებ, მან შემფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „თავისუფლების ცეცხლს შეუძლია არა მხოლოდ განწმენდა, არამედ დაქცევაც“. ასე რომ იგი არ ყოფილა რადიკალი და უფრო სოციალური ევოლუციისა და რეფორმების მომხრედ გვევლინება.

§3. ტ. პეინის პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეები

ტომას პეინი (1737-1809) დაიბადა ღარიბი ინგლისელი ფერმერის ოჯახში. 1774 წელს ფრანკლინის რჩევითა და რეკომენდაციით იგი ემიგრაციაში წავიდა ამერიკაში და ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში ძალზედ პოპულარული პუბლიცისტი გახდა. იგი განმათავისუფლებელ ომშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა და ინგლისის წინააღმდეგ დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდით პრესაშიც გამოდიოდა. 1776 წელს მან დაწერა თავისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები „საღი აზრი“, რომელიც ინგლისის ძეფის გეორგ III-ის წინააღმდეგ იყო მიმართუ-

ლი. იგი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის რევოლუციურ ცხოვრებაში, არჩეული იყო კონვენტის დეპუტატად. იაკობინელთა ტერორის კრიტიკისათვის იგი ციხეში ჩასვეს, ხოლო რობესპიერის დამხობის შემდეგ გაათავისუფლდა ციხიდან და აღდგა მის სადეპუტატო უფლებებში. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ იგი შევიწროებას განიცდიდა ანტირელიგიური პროპაგანდისათვის და პოლიტიკური დევნის პირობებში გარდაიცვალა.

თავის ნაწარმოებებში პეინი გვევლინება დემოკრატიული რესპუბლიკის მომხრედ, იცავს სახალხო სუვერენიტეტის იდეას და საყოველთაო საარჩევნო უფლებას. იგი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო ქონებრივი და სხვა ცენზებისა, რომლებიც ზღუდავენ მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებს. პეინი ბუნებითი სამართლის დოქტრინას იყენებდა იმისათვის, რომ თეორიულად დაესაბუთებინა ტირანიისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის უფლება. იგი თვლიდა, რომ ხალხს ყოველთვის აქვს უფლება მოსპოს მთავრობის ნებისმიერი ფორმა, რომელსაც იგი მისთვის მიუღებლად მიიჩნევს.

ნაწარმოებში „სალი აზრი“ და „ადამიანის უფლებები“ (1791-1792), რომელშიც მან დაწვრილებით გაანალიზა ფრანგული „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, პეინი მკვეთრად აკრიტიკებს მმართველობის მონარქიულ ფორმას და მიუთითებს, რომ იგი ადამიანის ღირსებების პირდაპირი დამცირებაა, არღვევს ადამიანის ბუნებით უფლებებსა და თავისუფლებებს, წარმოადგენს ძალადობას პიროვნების მიმართ. ინგლისისა და სხვა ქვეყნების ისტორიული გამოცდილების განხილვის საფუძველზე, პეინი ხაზს უსვამს, რომ მონარქიამ, რომელიც მემკვიდრეობითია და გულისხმობს, რომ ხშირად სამეფო ტახტზე სრულიად უნიჭო და მმართველობისთვის გამოუსადეგარი პიროვნება ადის, სისხლითა და ფერფლით დაფარა არა მარტო ინგლისი, არამედ მთელი მსოფლიო. თავისუფალ ხალხს არ უნდა ჰყავდეს სხვა მონარქი გარდა კანონისა, რომელშიც ხალხის ნებაა გამოხატული.

გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანები თანასწორებად იბადებიან და ფლობენ ერთნაირ და განუსხვისებელ ბუნებით უფლებებს, პეინი თვლის, რომ ადამიანს ბუნებითი უფლებები სამოქალაქო უფლებების ერთადერთი წყარო და საფუძველია. პეინის მიხედვით, მთავრობა, როგორც პოლი-

ტიკური დაწესებულება, იქმნება ადამიანთა საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე, მათი სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებში. ამის აუცილებლობა რომ არ ყოფილიყო, ადამიანებს ცხოვრებაში ზნეობრივი პრინციპებით რომ ეხელმძღვანელათ, მაშინ არც მთავრობა იქნებოდა საჭირო.

საუკეთესო მთავრობა, პეინის აზრით, არის ის, რომელიც იცავს მოქალაქეთა თავისუფლებებსა და უშიშროებას უდიდესი სარგებლით საზოგადოების ყველა წევრისათვის და უმცირესი დანახარჯებით მათთვის. პეინისათვის პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

იგი ომების პოლიტიკის წინააღმდეგია. ომებს რეაქციული მთავრობები ახორციელებენ, სხვისი ტერიტორიების მითვისების, მოგების მიღებისა და სამხედრო ნადავლის დაუფლების მიზნით. ეს პოლიტიკა ალავსებს ხალხის მოთმინების ფიალას და არსებულ მაგალითებზე დაყრდნობით იგი ასკვნის, რომ ასეთ დროს რევოლუციას უნდა ველოდოთ. პეინის აზრით, საყოველთაო მშვიდობა და საზოგადოებრივი პროგრესი შეიძლება განხორციელდეს მმართველობის სისტემაში რევოლუციური გარდაქმნების გზით.

პეინის მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელია ათეიზმი. იგი აკრიტიკებს წმინდა წერილს, - ბიბლიურ ზღაპრებს, სასწაულებსა და წინასწარმეტყველებებს, ხოლო საეკლესიო დაწესებულებათა იერარქიას იგი წარმოადგენს ისეთ ადამიანურ გამოგონებად, რომლის დანიშნულებაცაა კაცობრიობის მოტყუება და დამინება, ხელისუფლების მონოპოლიზება და შემოსავლების მიღება.

პეინს იმედი ჰქონდა, რომ ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების გავლენით შეხედულებანი არსებულ სამთავრობო ხელისუფლების სისტემებზე შეიცვლებოდა. ამას იგი უკავშირებდა რევოლუციის შესაძლებლობას ევროპის მასშტაბით.

§4. ტ.ჯეფერსონის პოლიტიკური შეხედულება

ტომას ჯეფერსონი (1743-1826) გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეა. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია ამერიკის

შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1776). მას ეკუთვნის ასევე: „შენიშვნები ვირჯინიის შტატის შესახებ“, რომელიც მან თავისი მშობლიური შტატის - ვირჯინიის ისტორიასა და სახელმწიფო მოწყობას მიუძღვნა; „ბრიტანეთის ამერიკის უფლებათა ზოგადი მიმოხილვა“, „სტატუსი რელიგიური თავისუფლებისათვის“ და სხვა. იგი დედის მხრიდან მდიდარი ვირჯინიელი პლანტატორის ოჯახიდან იყო. მან პოლიტიკური კარიერის ყველა საფეხური გაიარა, იყო პრაქტიკოსი იურისტი და საგრაფოს მილიციის ჩინოვნიკი, შემდეგ - ვირჯინიის გუბერნატორი, ჯ. ვაშინგტონის პირველ მთავრობაში სახელმწიფო მდივანი. მასთან უთანხმოების გამო იგი გადადგა და სათავეში ჩაუდგა ოპონიციურ რესპუბლიკურ პარტიას. იგი ჯერ აირჩიეს ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 1801-1809 წლებში იყო აშშ-ის პრეზიდენტი. მისი პრეზიდენტობის დროს გაუქმდა წინა მთავრობის ზოგი კანონი; შემცირდა არმია და სახელმწიფო აპარატი; აშშ-მა საფრანგეთისგან შეიძინა ლუიზიანა; საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ კი იგი პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა.

პოლიტიკურ მოთხოვნებს ტ. ჯეფერსონი ბუნებითი სამართლის თეორიით ასაბუთებდა თავის პირველ მნიშვნელოვან ნაშრომში „ბრიტანეთის ამერიკის უფლებათა ზოგადი მიმოხილვა“, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ მიმართვას ინგლისის მეფისადმი და ანონიმური ბროშურის სახით გამოქვეყნდა. დასაბუთებული იყო თეზისი, რომ აუცილებელია ხალხს დაუბრუნდეს ბუნების კანონებით მიღებული უფლებები. აღსანიშნავია, რომ აქ მეფე დახასიათებული იყო, როგორც თავისი ხალხის მთავარი ჩინოვნიკი, დანიშნული კანონით და აღჭურვილი განსაზღვრული ხელისუფლებით, რათა დაეხმაროს რთული სახელმწიფო მანქანის მუშაობას, რომელმაც სარგებლობა უნდა მოუტანოს ხალხს და შესაბამისად, ხალხის კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. იგი მონობის წინააღმდეგ გამოდიოდა, რადგანაც თვლიდა, რომ მონობა ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას; მან დეკლარაციაში შეიტანა კიდევ პუნქტი, რომელიც გმობდა მონათმფლობელობას, მაგრამ სამხრეთის მონათმფლობელური წრეების ზეწოლით ეს პუნქტი ამოღებულ იქნა. 1784 წელს მან შესთავაზა კონგრესს მონობის გაუქმება აშშ-ის ყველა შტატში, თუმცა მონობა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაუქმდა.

ტ. ჯეფერსონი ძირითადად ამერიკელი ფერმერებისა და წვრილი ბურ-

ჟუზიის ინტერესებს გამოხატავდა. მას ხანგრძლივი დისკუსია ჰქონდა ფედერალისტების პარტიის ლიდერ ა.ჰამილტონთან, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა და ამისთვის იყენებდა მონტესკიეს იდეებს კონსტიტუციური მონარქიისა და ხელისუფლების დანაწილების შესახებ.

ტ. ჯეფერსონი უარყოფდა მონტესკიეს თეზისს, რომ რესპუბლიკა, როგორც პოლიტიკური მმართველობის ფორმა, სიძნელეებს ხვდება დიდ ქვეყნებში. ჯეფერსონი მიუთითებდა ამერიკის რესპუბლიკის გამოცდილებაზე და ამტკიცებდა, რომ რესპუბლიკის არსებობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია სწორედ დიდი ტერიტორიის არსებობა.

ტ. ჯეფერსონი აკრიტიკებდა აშშ-ის 1787 წლის კონსტიტუციის ზოგიერთ პუნქტს. კერძოდ, მედისონისადმი მიწერილ წერილში იგი კონსტიტუციის დიდ ნაკლად თვლიდა მასში უფლებათა შესახებ ბილის არარსებობას, რომ არ არის გარანტირებული სიტყვის, პრესის, აღმსარებლობის თავისუფლება, ამ უკანასკნელ უფლებას იგი ბუნებით უფლებებს მიაკუთვნებდა, რომლის დარღვევაც ამის გამო არცერთ მთავრობას არ შეეძლო. ასევე, ჯეფერსონი უარყოფითად აფასებდა იმასაც, რომ კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტი შეიძლება ხელმეორედ იქნეს არჩეული განუსაზღვრელი დროით და ამით იგი მუდმივ მონარქად იქცეს.

ტ. ჯეფერსონი აგრარული საკითხის დემოკრატიულად გადაწყვეტის მომხრე იყო. იგი „შენიშვნებში ვირჯინიის შესახებ“ წერდა, რომ ყოველგვარი სიკეთე მიწიდან მომდინარეობს და სოფლის მეურნეობა გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე, იგი აცხადებს, რომ „მიწის მუშები“ (მათში იგი თავისუფალ ფერმერებს გულისხმობდა) „ღმერთის რჩეული ხალხია“ და დემოკრატიული რესპუბლიკის ჭეშმარიტ საფუძველს წარმოადგენენ. იგი გამოდიოდა ფიზიოკრატიული სკოლის წარმომადგენელთა მოძღვრების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი აკრიტიკებდა დებულებას, რომლის მიხედვითაც, კერძო საკუთრება რადგან საზოგადოებრივი მოწყობის საფუძველია, ამიტომ პოლიტიკური უფლებები უნდა მიენიჭოს საზოგადოების მხოლოდ იმ წევრებს, რომელთაც საკუთრება, ქონებრივი ცენზი აქვთ. ჯეფერსონი მიუთითებდა, რომ საზოგადოებრივი მოწყობის საფუძველი მათი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით უნდა იყოს ადამიანთა საზოგადოებრივი ხელშეკ-

რულება, ამიტომ ამ ხელშეკრულების ყველა მონაწილეს უნდა მიენიჭოს თანაბარი უფლებები სახელმწიფო ხელისუფლების შექმნასა და მასზედ კონტროლში.

ჯეფერსონი თვლიდა, რომ სახელმწიფოს ორგანიზაციისა და საქმიანობის რესპუბლიკური პრინციპები ყველა დონეზე უნდა ვლინდებოდეს - ეს ეხება ფედერაციის, შტატის, ოკრუგის, რაიონის ორგანიზაციას. იგი მხარს უჭერდა უმრავლესობის მმართველობის პრინციპს. მას მიაჩნდა, რომ ის ბოროტება, რომელიც თან მოაქვს დემოკრატიას, შეიძლება აღმოიფხვრას კიდევ უფრო მეტი დემოკრატიზაციით, რადგანაც ხალხისაგან შეიძლება ველოდოთ უფრო ნაკლებ უსამართლობას, ვიდრე მმართველი უმცირესობისაგან.

§5. ა. ჰამილტონის კოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებანი

ალექსანდრე ჰამილტონი (1757-1804) ამერიკელი ფედერალისტების აღიარებული ლიდერი, ფართო მასშტაბისა და თვალსაწიერის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. ჰამილტონი სამთავრო (ჰამილტონი, ჯეი, მედისონი) ერთ-ერთი ავტორია „ფედერალისტის“ სტატიებისა, რომლებიც ქვეყნდებოდა 1787 წლის ოქტომბრიდან 1788 წლის მაისამდე პუბლიუს ვალერიუსის - რომის რესპუბლიკის პატრიოტის ფსევდონიმით (ხამივე მონაწილეობას იღებდა კონსტიტუციის მომზადებაში, ხოლო შემდგომ მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ მთავრობაში: ჰამილტონი იყო ფინანსთა მინისტრი, ჯეი - უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, მედისონი - ქვეყნის რიგით მეოთხე პრეზიდენტი). თავის სტატიებში ჰამილტონი მხარს უჭერდა ფედერალური მთავრობის ძლიერ ცენტრალიზებულ ხელისუფლებას.

ფედერალისტები იზიარებდნენ დემოკრატების აზრს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლება ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ამას უკავშირებდნენ ადამიანთა ცუდი თვისებებისა და მიდრეკილებების ალაგმვის საჭიროებას, რადგანაც ასეთი ალაგმვის გარეშე ისინი არასდროს არ დაემორჩილებიან გონებისა და სამართლიანობის კარნახს.

მეზში. ვილსონი, ისე როგორც მისი თანამედროვე პოზიტიური ორიენტაციის მკვლევრები, დარწმუნებული იყო, რომ პოლიტიკური მეცნიერება არსებითად რეალურ ცხოვრებას შეისწავლის და ამიტომ მისი მეთოდები საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდებს უახლოვდება, თუმცა მის გამოკვლევებს არა მარტო სკურპულოზური ანალიზისა და შემდგომი განზოგადებების, არამედ უფრო შეფასებითი და განმარტებითი ხასიათი ჰქონდა.

თავის ნაშრომში „კონგრესის მმართველობა“ ვილსონი მწვავედ აკრიტიკებდა კონგრესის ორგანიზაციასა და საქმიანობას. იგი ამტკიცებდა, რომ „შეკავებისა და შეწონასწორების“ სისტემა, რომელსაც ეყრდნობოდნენ კონსტიტუციის დამფუძნებლები, ეს „წიგნური ვერსიაა“ და მავნეა რეალური და შედეგიანი მმართველობისათვის. რაც უფრო მეტადაა დაყოფილი ხელისუფლება, მით უფრო უპასუხისმგებლო ხდება იგი. კონგრესის მმართველობა არ ექვემდებარება არც აღმასრულებელი, არც სამართლო ხელისუფლების კონტროლს. კონგრესის საქმიანობა თავისი ნაწილობრივი პასუხისმგებლობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება შედეგიანობით საპარლამენტო მმართველობას, განსაკუთრებით ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის თვალსაზრისით. იმ პერიოდში ვილსონისათვის მმართველობის ოპტიმალურ ფორმას წარმოადგენდა სამთავრობო ხელისუფლების კაბინეტური ფორმით ორგანიზაცია.

§ 11. ო. კოლმზის მოძღვრება სამართალზე

ოლივერ ვენდელ ჰოლმზი (1841-1935) დაიბადა ბოსტონში ცნობილი პოეტის ოჯახში. სამჯერ დაიჭრა სამოქალაქო ომში, იურიდიული და ფილოსოფიური განათლება მიიღო ჰარვარდში, შემდგომში იგი იყო მასაჩუსეტისის უმაღლესი სასამართლოს წევრი და ასევე პრეზიდენტ რუზველტის რეკომენდაციით აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს წევრიც გახდა.

თავდაპირველად მას მკვლევრის კარიერა იზიდავდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ იგი ჰარვარდში კითხულობდა ლექციებს კონსტიტუციურ სამართალში. იყო იურიდიული ჟურნალის რედაქტორი. მისი ძირითადი ნაშრომი „საერთო სამართალი“ ლექციების კურსის საფუძველზე დაიწერა. სამართლის საწყისები, ჰოლმზის აზრით, უნდა ვეძიოთ პრიმიტიული ადამიანის სურვილში რევანში აიღოს იმათთან, ვინც მას რაიმე ზიანი მიაყენა. აქედან გამომდინარეობს, რომ სამართლის განვი-

თარება დამოკიდებულია ადამიანის ყოფის პრევალირებულ პირობებზე: კერძოდ, მოცემული პერიოდის საარსებო მოთხოვნილებებზე, გაბატონებულ პოლიტიკურ და მორალურ შეხედულებებზე, პოლიტიკური საქმიანობის სფეროში ინტუიციასა და ალღოზე, გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ მიდრეკილებებზე, ცრურწმენებზეც კი, რომელთაც მოსამართლე იზიარებს თავის კოლეგებთან ერთად. ამ პირობებს უნარი შესწევთ ბევრად მეტი გააკეთონ ადამიანთა საზოგადოების მართვის წესების გამომუშავებისათვის, ვიდრე ფორმალურ-იურიდიული ხასიათის რაღაც სილოგიზმებს, ამიტომ როგორც აქსიომა უნდა მივიღოთ ჰოლმზის ცნობილი ფორმულა, რომელიც მან თავის ძირითად ნაშრომში დააფიქსირა: „სამართალი ცოცხლობს არა ლოგიკაში, არამედ გამოცდილებაში“. აღნიშნული ფაქტორების შეგრძნებას მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ქვეყნის კონსტიტუცია ჰოლმზის მიხედვით - ესაა თავისებური სოციალური ექსპერიმენტი და ამ გაგებით იგი ჰგავს ადამიანის ცხოვრებას, რომელიც ასევე შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თავისებური ექსპერიმენტი. ნაშრომში „სამართლის გზა“ (1897) იგი იმ დროს გაბატონებული პრაგმატიზმის შესაბამისად აცხადებს, რომ სამართალში შესწავლის ობიექტია სასამართლოს მეშვეობით საჯარო ძალის გამოყენების სფეროს განსაზღვრა.

ჰოლმზი სამართალს განმარტავს, როგორც წინასწარგანჭვრეტას, თუ როგორ იმოქმედებს სასამართლო პრაქტიკაში, „კანონი, - ამბობს იგი - ეს მხოლოდ კანონმდებლის აზრია სამართლის შესახებ. ეს აზრი არ არის ჭეშმარიტი სამართალი, ესაა მხოლოდ ვარაუდი იმ საკითხზე, რომელზედაც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება“. ასე, რომ სასამართლოს, ჰოლმზის მიხედვით, ფაქტობრივად სამართალშემოქმედის როლი ენიჭება, კანონი კი მისი კონცეფციის შესაბამისად კარგავს ურყევი წესის მნიშვნელობას, რაც სავალდებულო უნდა იყოს სასამართლოსათვის.

ჰოლმზის მიხედვით, სამართალი არის არა ნორმები, არამედ გადაწყვეტილებანი მიღებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ე.ი. სასამართლო გადაწყვეტილებების მთელი რიგი.

ჰოლმზის სამართლებრივმა პრაგმატიზმმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რ.პაუნდის სოციოლოგიურ იურისპრუდენციასა და „რეალისტების“ დოქტრინის ჩამოყალიბებაზე.

გონებრივი, ზნეობრივი და სოციალური თვალსაზრისით.

სახელმწიფოს საუკეთესო ფორმად იგი თვლის წარმომადგენლობით მმართველობას, რომლის დროსაც მთელი ხალხი, ანდა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სარგებლობს უმაღლესი მაკონტროლებელი ხელისუფლებით, პერიოდულად არჩეული დეპუტატების მეშვეობით.

§3. ფრანგული ლიბერალიზმი

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ფრანგული ბურჟუაზიის პოლიტიკური იდეოლოგიის გამომხატველები იყვნენ: ბენჟამენ კონსტანი და ალექს^ს დე ტოკვილი.

ბენჟამენ კონსტანი (1767-1830) ითვლება ლიბერალიზმის სულიერ მამად ევროპაში. მან 1810-1820 წწ. მთელი რიგი ნაშრომები დაწერა, რომლებიც შემდეგ შეკრიბა და გააერთიანა „კონსტიტუციური პოლიტიკის კურსში“, სადაც ჩამოაყალიბა თავისი ლიბერალური შეხედულებანი სახელმწიფოს შესახებ.

მისთვის ძირითადი საკითხი ინდივიდუალურ თავისუფლებას ეხება, რაც ახალი დროის ევროპელისათვის სხვაა, ვიდრე ძველი ბერძნების ან რომაელებისათვის. ამ უკანასკნელთათვის თავისუფლება ხორციელდება კოლექტიური უმაღლესი ხელისუფლების სახით, რათა თითოეულ მოქალაქეს უშუალოდ მიეღო მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში, მაგრამ ამ თავისუფლებასთან ერთად ინდივიდი თითქმის მთლიანად საჯარო ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გამოვლენისათვის საშუალება თითქმის არ ჰქონდა. კონსტანისათვის მისაღებია მხოლოდ თანამედროვე ევროპელის თავისუფლება. ესაა პირადი დამოუკიდებლობა, უშიშროება, სამოქალაქო თავისუფლება, სახელმწიფოს მართვაზე ზეგავლენის მოხდენის უფლება. კონსტანისათვის, როდესაც იგი პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილავს ინდივიდუალური თავისუფლების პრობლემას, უპირველესია ადამიანის მატერიალური, დასავლური ავტონომია, მისი საიმედო დაცვა კანონით, განსაკუთრებით კი საკუთრების სამართლებრივი დაცვა. მისი აზრით, სწორედ ამ ღირებულებებს უნდა დაემორჩილოს სახელმწიფო მოწყობა. სახელმწიფო ინსტიტუტები ინდივიდუალური თავისუფლებისა და პიროვნების გაუსხვი-

სებელი უფლებების ფუნდამენტზე უნდა აღმოცენდეს. კონსტანი თვლის, რომ თავისუფალ ადამიანებს უნარი შესწევთ დამოუკიდებლად, გონივრულად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები.

კონსტანს ზოგიერთი სხვა ლიბერალისაგან განსხვავებით, შეუძლებლად მიაჩნია სუსტი სახელმწიფოს არსებობა. მისი აზრით, ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია და თავის სფეროში სახელმწიფო ორგანოები შეუზღუდავად უნდა მოქმედებდნენ.

კონსტანის აზრით, თანამედროვე სახელმწიფოს ფორმა უნდა იყოს კონსტიტუციური მონარქია, სადაც კონსტიტუციური მონარქი „ნეიტრალური ხელისუფლებაა“, რომელიც სამი კლასიკური ხელისუფლების - საკანონმდებლოს, აღმასრულებლის, სასამართლოს - გარეთაა და, ამასთან, ზემოთაც, ამიტომ უნარიც შესწევს და ვალდებულია უზრუნველყოს მათი ერთიანობა და ნორმალური საქმიანობა. ხელისუფლების ასეთი დანაწილება მას თავისუფლების გარანტიად მიაჩნდა. მისი აზრით, პარლამენტი ორპალატიანი უნდა იყოს. ზედა პალატას მემკვიდრეობითი პერები უნდა შეადგენდნენ, ხოლო ქვედას კი - ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები.

სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლი ხდება საზოგადოების, საზოგადოებრივი აზრის მიერ, რომელიც ბუჭდვითი სიტყვის თავისუფლებას ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ კონსტანის მიხედვით ინდივიდუალური თავისუფლების გარანტი უნდა იყოს სამართალიც. იგი წინააღმდეგაა თვითნებობის ყოველგვარ გამოვლინებას. სამართალი ადამიანებს შორის ურთიერთობის ერთადერთი საფუძველია, ამიტომ პოლიტიკური ინსტიტუტებისათვის მისი დაცვა ძირითადი ამოცანაა.

ლიბერალიზმის მიმდევრად და ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის მომხრედ გვევლინება ასევე ალექსის დე ტოკვილი (1805-1859), რომელიც კონსტანის უმცროსი თანამედროვე იყო და მისი იდეების უშუალო გავლენას განიცდიდა.

იგი ძირითადად დემოკრატიის საკითხს განიხილავს და მას ეპოქის ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენად მიიჩნევს. დემოკრატიას იგი ფართოდ განმარტავს. მისთვის ეს არის საზოგადოებრივი წყობა, რომელიც ფეოდალიზმის საწინააღმდეგო მოვლენაა და რომელმაც საზოგადოების მაღალ და დაბალ კლასებს შორის საზღვრები არ იცის. ამავე დროს, იგი პოლი-

ტიკური ფორმულაა. დემოკრატიის საფუძველი თანასწორობის პრინციპია, რომელიც თანდათანობით მყარდება. ამ პროცესს საყოველთაო ხასიათი აქვს, ხანგრძლივია და ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული ადამიანთა ნებაზე. თანასწორობა, ტოკვილის გაგებით, სხვადასხვა ინდივიდთა თანაბარი საზოგადოებრივი მდგომარეობაა, მათი ერთნაირი სასტარტო შესაძლებლობები ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა იგი აღნიშნავდა, რომ თანასწორობის რეალური არსებობა ავტომატურად არ უზრუნველყოფს თავისუფლებას, პიროვნების ავტონომიას. საერთოდ, ტოკვილის მიხედვით, თავისუფლება და თანასწორობა სხვადასხვა მოვლენებია და ადამიანების დამოკიდებულება მათ მიმართ სხვადასხვაგვარია. ტოკვილის მტკიცებით, ადამიანები თანასწორობას ამჯობინებენ თავისუფლებას. თანასწორობა მათთვის უფრო ადვილი აღსაქმელია, ხოლო თავისუფლება, მეტადრე პოლიტიკური, ადამიანებისაგან გარკვეულ დაძაბულობას მოითხოვს. თავისუფლების პირობებში ადამიანებმა დამოუკიდებლად უნდა განაგონ საკუთარი ბედი, გააკეთონ არჩევანი, პასუხი აგონ თავიანთ მოქმედებებსა და შედეგებზე. ასე, რომ თავისუფლება გარკვეული ტვირთია და მისი უპირატესობა მაშინვე არ ჩანს. ხალხისათვის ყველაზე რთულია თავისუფლად ცხოვრება ისწავლონ. ამასთან, ტოკვილი კარგად ხედავს, რა დიდი სოციალური ღირებულებაა თავისუფლება, რომ იგი უზრუნველყოფს საზოგადოების პროგრესს და საშუალებას აძლევს პიროვნებას სრულად გამოავლინოს საკუთარი თავი ცხოვრებაში, თუმცა თავისუფლებისაგან სასწაულებს არ უნდა ველოდეთ, რომელიც ადამიანებს მაშინვე მატერიალურ სიკეთესა და ჰარმონიულ ცხოვრებას მოუტანს. ტოკვილი თვლის, რომ თანამედროვე დემოკრატია შესაძლებელია მხოლოდ თანასწორობისა და თავისუფლების მჭიდრო კავშირის არსებობისას. უკიდურესობამდე მიყვანილილი თანასწორობის სიყვარული დემოკრატიას ახშობს და დესპოტიას იწვევს. დესპოტია კი, თავის მხრივ, თანასწორობას უაზრობად აქცევს. ამავე დროს, თანასწორობის გარეშე თავისუფლების შენარჩუნებაც შეუძლებელია. ტოკვილის მიხედვით, აუცილებელია, რომ, ერთი მხრივ, თავიდან იქნეს აცილებული ყველაფერი, რაც ხელს უშლის თავისუფლებასა და თანასწორობას შორის გონივრული ბალანსის დადგენას, რაც შეესაბამება თანამედროვე დემოკრატიას, მეორე მხრივ, განვითარდეს ისეთი

პოლიტიკურ-იურიდიული ინსტიტუტები, რომლებიც ასეთი ბალანსის შექმნასა და შენარჩუნებას უზრუნველყოფენ. ტოკვილმა გაანალიზა საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიული გამოცდილება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი წინაღობა თავისუფლებისათვის და შესაბამისად მთლიანად დემოკრატიისათვის სახელმწიფო ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაციაა. იგი ახშობს თავისუფლებას, თუმცა, ტოკვილის მიხედვით, არსებობს დემოკრატიული პოლიტიკურ-იურიდიული ინსტიტუტები, რომლებიც, პირიქით, ხელს უწყობენ ინდივიდისა და საზოგადოების თავისუფლებას. მათ მიეკუთვნება: ხელისუფლების დანაწილება, ადგილობრივი თვითმმართველობა, რასაც ტოკვილი სახალხო სუვერენიტეტის წყაროდ მიიჩნევს, თუმცა, იქვე მიუთითებს, რომ ეს სუვერენიტეტი უსაზღვრო არ უნდა იყოს, სადაც ხდება ამ საზღვრების გადაცილება, მყარდება ტირანია, ხოლო უმრავლესობის ტირანია არაფრით არაა უკეთესი ერთი პირის ტირანიაზე.

აღნიშნული დემოკრატიული ინსტიტუტების გვერდით ტოკვილი აყენებს ასევე ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას, რელიგიურ თავისუფლებას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და ა.შ. იგი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს საკითხს, როგორი უნდა იყოს მმართველობა - მონარქიული თუ რესპუბლიკური. მისი აზრით, მთავარია საზოგადოებაში დამკვიდრდეს მმართველობის წარმომადგენლობითი ფორმა.

§4. გერმანული ლიბერალიზმი

გერმანული ლიბერალიზმის წარმომადგენელთა შორის უნდა აღინიშნოს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი და ლორენც შტაინი.

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი (1767-1835) ძირითადი პოლიტიკური ნაშრომია „სახელმწიფოს საქმიანობის საზღვრების დადგენის ცდა“, სადაც ჰუმბოლდტი ცდილობს განსაზღვროს სახელმწიფოში ადამიანის ყველაზე უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა. ჰუმბოლდტი სახელმწიფოს მხრიდან ყოველმხრივი მეურვეობისა და რეგლამენტაციის, სამეურნეო ცხოვრებაში ჩარევის წინააღმდეგია. ამასთან, იგი შეუზღუდავი კონკურენციის დამშეობის მომხრეა. მისი თქმით, სახელმწიფო თავს უნდა იკავებდეს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ყოველგვარი ზრუნვისაგან. ეს ეხება მოქალაქის სამეურნეო წარმატებას, პროდუქტებით მომარაგებას, საზოგადო-

ებრივ კარიერას, მათ ზნეობას, ფიზიკურ ჯანმრთელობას, პირად ცხოვრებას. სახელმწიფო უნდა შემოიფარგლოს მოქალაქეთა როგორც შინა, ისე საგარეო უშიშროების დაცვით. სიმშვიდის დაცვა^რს უნდა იყოს ერთადერთი მიზანი სახელმწიფოსი და მისი საქმიანობის ერთადერთი შინაარსი. ასე, რომ ჰუმბოლდტი „მინიმალური სახელმწიფოს“ ადრებურუჟაზიული ლიბერალური კონცეფციის მიმდევარია, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მოქმედების მკვეთრ შეზღუდვას ქადაგებს^რ და, აი, რა მიზეზით: ადამიანთა გაერთიანება ერთ სოციალურ კავშირად, ჰუმბოლდტის მიხედვით, ადამიანთა საქმიანობის მრავალფეროვნებას წარმოშობს, ასეთ ვითარებაში ყალიბდება პიროვნება, რომელსაც პირადი ღირსების გრძნობა და თავისუფლება აქვს. ის უნიკალური, სხვებისაგან განსხვავებული ინდივიდია, რომელსაც ბევრის მიღწევა შეუძლია, უმაღლეს ხელისუფლებას კი სახელმწიფოს მეშვეობით სურს ყველას ერთ თარგზე მორგება, ადამიანთა უნიფიცირება. ჰუმბოლდტის მიხედვით, სახელმწიფოს ჩარევა მიმართულია იმ მრავალფეროვნების დონის შემცირებისათვის, რითაც საზოგადოების, ერის ყოფიერება გამოირჩევა (აღსანიშნავია, რომ ჰუმბოლდტი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან საზოგადოებასა და სახელმწიფოს და უპირატესობას საზოგადოებას ანიჭებს). ფართო სამთავრობო რეგლამენტაცია გააერთფეროვნებს ცხოვრების ყველა მხარეს და გამოირიცხება განვითარების მთავარი პირობა - „მისწრაფებათა მრავალმხრივობა“.

განსაკუთრებით საშიშია პიროვნებისა და ერისათვის, როდესაც სახელმწიფო ადამიანთა მამობრივი ზრუნვის მისიას თავის თავზე იღებს. ჰუმბოლდტი თვლის, რომ ასეთ პირობებში აღზრდილი მოქალაქე მუდმივად ელოდება დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან. საბოლოო ჯამში, ეს მოვლენა პიროვნების, მოქალაქის უმოქმედობას იწვევს, ამასთან, ასუსტებს ინდივიდის ენერჯიასა და ნებას, გადააჩვევს პრობლემათა დამოუკიდებელ გაწყვეტას, საკუთარი ძალებით სიძნელეების დაძლევას. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ინდივიდის ზნეობაზე და რაც მთავარია, ამცირებს ერის ძალას. ასე, რომ ბედნიერებას ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ საკუთარი ძალებით, ხოლო ამისათვის სახელმწიფოს აქტიურობის დიაპაზონი მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს.

ჰუმბოლდტის აზრით, რაც უფრო დიდია სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედების ფარგლები, მით ნაკლებია ინდივიდის თავისუფლება, ხოლო ეს უკანასკნელი არ შეიძლება დარღვეულ იქნეს, მაშინაც კი, როდესაც

აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ღონისძიებების გატარება ადამიანთა უშიშროების უზრუნველსაყოფად.

ჰუმბოლდტის დასკვნა ასეთია: სახელმწიფო მოწყობა ყოველთვის დაკავშირებულია თავისუფლების შეზღუდვასთან და ამიტომ მას არ შეიძლება არ ვუყურებდეთ, როგორც ბოროტებას, თუნდაც აუცილებელს. ჰუმბოლდტის ეს შეხედულებანი მიმართული იყო პრუსიის სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ამკარად ერეოდა არა მარტო სამეურნეო ურთიერთობებში, მკაცრ რეგლამენტაციას უწევდა რა მას, არამედ ადამიანთა პირად ცხოვრებაშიც, რითაც აფერხებდა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებას და ხელს უშლიდა მესაკუთრეთა ინიციატივას.

ჰუმბოლდტის შეხედულებანი ტიპურია ადრეპურყუაზიული ლიბერალური იდეოლოგიისათვის, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მოქმედების გაფართოებას თავისუფლების შეზღუდვად აღიქვამდა.

გერმანული ლიბერალიზმის მეორე დიდი წარმომადგენელი იყო ~~ლორენც შტაინი~~ (1815-1890). მისი ნაშრომებიდან, რომელიც სახელმწიფოს, საზოგადოებასა და სამართალს ეხება, აღსანიშნავია: „სოციალური მოძრაობის ისტორია საფრანგეთში 1789 წლიდან ჩვენ დრომდე“, „მოდერნობა მმართველობის შესახებ“, „აწმყო და მომავალი მეცნიერებისა სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ გერმანიაში“.

შტაინის პოლიტიკური დოქტრინის ქვაკუთხედი ინდივიდია - მისი უფლებები და საკუთრება, რაშიც მისი ლიბერალიზმიც გამოიხატა. იგი თვლის, რომ ინდივიდის ძირითადი მამოძრავებელი, წარმმართველი მოტივი არის მისი სწრაფვა თვითრეალიზაციისაკენ, რომლის არსიც სხვადასხვა სიკეთის მოპოვებასა და გამრავლებაში მდგომარეობს. პიროვნების მიერ წარმოებული ყოველგვარი სიკეთე ეკუთვნის მას, გაიგივებულია მასთან და ამიტომ ისეთივე ხელშეუხებელია, როგორც თვით პიროვნება. სიკეთის ეს ხელშეუხებლობა არის კიდევ სამართალი, ხოლო სიკეთე, შეერთებული პიროვნებასთან ერთ ხელშეუხებელ ერთიანობაში სამართლის მემკვიდრით საკუთრებაა.

თვითრეალიზაცია, საწარმოო საქმიანობა ადამიანს არ შეუძლია განმარტოებით, სხვა ადამიანებისაგან დამოუკიდებლად. აუცილებელია მათთან თანამშრომლობა, თანაცხოვრება, აქედან გამომდინარე, შტაინი დიდ ყურადღებას უთმობს საზოგადოებას, მისი არსის პრობლემატიკას. იგი

თაზო XX

მარქსიზმის პოლიტიკური და სამართლებრივი მოქმედებანი

მარქსიზმი ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 40-იან წლებში. იგი დაკავშირებულია კარლ მარქსისა (1818-1883) და ფრიდრიხ ენგელსის (1820-1898) სახელებთან. მათ მიზნად დაისახეს ჩამოეყალიბებინათ ისეთი წყობის კონტურები, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა პიროვნების ჰარმონიული განვითარება და დაძლეული იქნებოდა მშრომელთა გაუცხოება ხელისუფლებისა და საკუთრებისაგან. ამ პრობლემის გადაწყვეტისას მარქსი და ენგელსი, ბუნებრივია, შეეხნენ სახელმწიფოს, სამართლის, კანონმდებლობის, პოლიტიკის საკითხებს, ამის შედეგად კი ჩამოყალიბდა სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტული ისტორიულ-მატერიალისტური კონცეფცია.

§1. სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტული გაგება

სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინეს ეკონომიკურმა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში XIX საუკუნის I ნახევარში. თავისი შეხედულებანი თანამედროვე დასავლეთევროპული საზოგადოების მდგომარეობის შესახებ მარქსიზმის ფუძემდებლებმა ჩამოაყალიბეს კომუნისტთა კავშირის პროგრამაში - „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. ისინი თვლიდნენ, რომ კაპიტალიზმმა თავისი განვითარების პიკს, ზღვარს მიაღწია. კაპიტალისტური ურთიერთობები ამკარად უმღიდა ხელს საწარმოო ძალების სრულ-

ყოფასა და ზრდას, ამუხრუჭებდა სოციალურ პროგრესს. მათი აზრით, ბურჟუაზიამ გამოჰყვია არა მარტო იარაღი, რომელიც მას სიკვდილს მოუტანს (გიგანტური საწარმოო ძალები, რომლებიც მისი კონტროლიდან გამოვიდნენ), არამედ შექმნა ადამიანებიც, რომლებიც ამ იარაღს მის წინააღმდეგ წარმართავენ - თანამედროვე მუშები, პროლეტარები. კაპიტალიზმმა, როგორც სოციალური ორგანიზაციის ტიპმა, საბოლოოდ ამოწურა თავისი თავი. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ უახლოვდება თავის დასასრულს, პროლეტალური რევოლუცია ზღურბლზეა: „აჩრდილი დადის ევროპაში - აჩრდილი კომუნისმისა“. მუშათა კლასმა მომავალი რევოლუციის დროს უნდა მოსპოს კერძო საკუთრება და დაანგრის ყველაფერი ის, რაც აქამდე უზრუნველყოფდა და იცავდა მას. პროლეტარიატის უახლოესი პრაქტიკული მიზანია კონსოლიდაცია დამოუკიდებელ კლასად, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა, პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვება.

კაპიტალისტურ წყობასა და მის მომავალზე ასეთი შეხედულება მარქსსა და ენგელსს თავისი შემოქმედების ბოლომდე ძირითადად შემორჩათ, თუმცა, ბუნებრივია, თავის შეფასებაში მათ გარკვეული კორექტივები და დამატებანი შეჰქონდათ, მაგრამ ორი რამ უცვლელი დარჩა. კერძოდ, პირველი, ~~ურყევი~~ რწმენა, რომ თითქოს მათ ბოლოს და ბოლოს შექმნეს ჭეშმარიტი მეცნიერება საზოგადოების შესახებ, რომელიც ყველა სხვა მოძღვრებებს აღემატება და მიიღეს ჭეშმარიტი ცოდნა კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შესახებ. მეორე, ~~აზრი~~ იმის თაობაზე, რომ კაპიტალიზმი, რომელიც იმდროინდელ მოწინავე დასავლეთ-ევროპულ ქვეყნებში არსებობდა, ძირითადად, მზადაა სოციალისტური რევოლუციისათვის.

რასაკვირველია, სახელმწიფოსა და საპარტიო შესახებ ისტორიულ-მატერიალისტური კონცეფციის ჩამოყალიბებისას მარქსი და ენგელსი ეყრდნობოდნენ თავიანთ წინამორბედთა იდეებსა და დებულებებს.

მათ ჯერ კიდევ 1842-1843 წლებში ხელისუფლების ბუნების, სახელმწიფოებრიობის, კანონმდებლობის იდეალისტური გააზრების რადიკალური გადალახვის კურსი აიღეს. ამან ისინი მიიყვანა XVIII-XIX საუკუნის პოლიტეკონომიის კლასიკოსების (ვ. პეტა, ა. სმიტი, დ. რიკარდო და სხვები) შეხედულებებთან. მხედველობაშია ძირითადად ის შეხედულებები,

რომლებიც ეხება „სამოქალაქო საზოგადოებისა“ და სახელმწიფოს განმასხვავებელ ნიშნებს.

პოლიტიკონომიის კლასიკოსები სამოქალაქო საზოგადოებას განიხილავდნენ, როგორც ადამიანთა მატერიალურ მოთხოვნილებათა სამყაროს, მასში ხედავდნენ მატერიალურ სიკეთეთა წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების ურთიერთობათა კომპლექსს. სამოქალაქო საზოგადოების მამოძრავებელ ძალად ისინი თვლიდნენ არა რაღაც ზებუნებრივ ძალებს, არამედ მისი შემადგენელი ინდივიდების რეალურ ინტერესებს, რომელთა საქმიანობაც ექვემდებარება ეკონომიკური ცხოვრების ობიექტურ კანონებს. სახელმწიფო კი ეს არის ადმინისტრირების სფერო, ვერტიკალური კავშირების ერთიანობა, საჯარო სამართლის ინსტიტუტებისა და ნორმების სისტემა. იგი იქმნება სპონტანურად და არა შეთანხმების, ხელშეკრულების დადებისა და სხვა მისთანების შედეგად. სახელმწიფო თავის სოციალურ შინაარსს იღებს სამოქალაქო საზოგადოებისაგან და მთლიანად დამოკიდებულია მასზე. სახელმწიფო მოწოდებულია მოემსახუროს საზოგადოებას და არ ჩაერიოს თვითნებურად მის საქმეებში, განსაკუთრებით ეკონომიკაში.

მარქსისა და ენგელსის ინტერესს იწვევდა ასევე რუსოს მოძღვრებანი, განსაკუთრებით მისი შეხედულებანი დემოკრატიაზე, როგორც ინდივიდთა პოლიტიკური ყოფის ნორმაზე. რუსოს მიხედვით, დემოკრატიის საფუძველია სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი, ხალხის სრულუფლებიანობა სახელმწიფოში, ამ პრინციპის რეალიზაცია კი ხდება ხალხის კონტროლით, რომელიც არაა ფიქტიური.

მარქსისტული პოლიტიკურ-იურიდიული კონცეფცია ყალიბდებოდა რესტავრაციის პერიოდის გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსების გავლენითაც. ესენია: ო. ტიერი, ო. მინიე, ფ. გიზო და სხვა. ისინი თვლიდნენ, რომ პოლიტიკური ინსტიტუტები, იურიდიული ნორმები იქმნება საზოგადოების მიერ და საზოგადოებრივი წყობის ანარეკლია, რომელიც პირველადია მათ მიმართ. საზოგადოების მიერ შექმნილი პოლიტიკურ-სამართლებრივი დაწესებულებანი შემდეგ თვითონ ზემოქმედებენ სოციალურ ცხოვრებაზე და სახეს უცვლინ მას.

მარქსისა და ენგელსის იდეოლოგიას განსაკუთრებით ეხმიანებოდა ამ ისტორიკოსების დებულებები კლასებსა და კლასობრივ ბრძოლაზე.

ისინი თვლიდნენ, რომ საზოგადოება გაყოფილია კლასებად, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოციალური, ქონებრივი, უფლებრივი ნიშნებით. თითოეული კლასი ცდილობს ხელისუფლების სათავეში მოიყვანოს მისთვის საჭირო მთავრობა. ის კლასი, რომელიც დომინირებს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ჰეგემონიც უნდა იყოს სახელმწიფოში, რადგანაც საკუთრებითი ინტერესები უმნიშვნელოვანესია და მაღლა დგას ყველა სხვა მოთხოვნილებაზე. სწორედ ამ ისტორიკოსებმა შეიმუშავეს ფორმულა, რომ კლასთა ბრძოლა შეადგენს მთელს სამოქალაქო ისტორიას და ავსებს მას.

მარქსიზმის წარმოშობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს რიგმა ევროპელმა ფილოსოფოსებმაც, მათ შორის აღსანიშნავია: კანტი, ფიხტე, ფოიერბახნი, განსაკუთრებით კი - ჰეგელი, რომლის იდეა თავისუფლებისა - როგორც თვითნებობის ანტიპოდისა, მიმზიდველი აღმოჩნდა მარქსიზმისათვის. კანტის, ფიხტეს, ჰეგელისაგან მარქსმა და ენგელსმა აიღეს მათ მიერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამართლის კონსტრუქცია, რომელსაც ისინი განიხილავდნენ, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთქმედების სუბიექტებს შორის ჩამოყალიბებულ რეალურ ურთიერთობებს. ამ ურთიერთობების მონაწილენი კონტაქტირებენ ერთმანეთთან სოციალური ღირებულებების (ნივთების, მომსახურების, სხვა სიკეთის) გაცვლის პროცესში, როგორც თანასწორი, თავისუფალი, ავტონომიური ინდივიდები.

იდეოლოგიური თვალსაზრისით, მარქსიზმს ყველაზე მეტად შეესაბამებოდა შეხედულებანი, რომელნიც ჩაგრული მშრომელი მასების პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ ექსპლოატატორული საზოგადოების სამართალსა და კანონმდებლობას. სოციალისტურ ლიტერატურაში, დაწყებული თომას მორიდან, ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ სახელმწიფოს კანონები მდიდარი და პრივილეგირებული ფენების ინტერესების დაცვის იარაღია. მარქსისტულ შეხედულებებში ბურჟუაზიული საზოგადოების კანონმდებლობის ფუნქციების შესახებ ბევრი აღებულია მარქსიზმის წინამორბედი სოციალისტური მოძღვრებებიდან.

მარქსისა და ენგელსის სახელმწიფო-სამართლებრივმა შეხედულებებმა კიდევ ერთი იდეოლოგიური მიმართულების გავლენა განიცადეს, რაზედაც ადრე არ იყო მიღებული საუბარი. მხედველობაშია დასავლეთ-ევროპული ლიბერალიზმი, დაკავშირებული ლოკის, მონტესკიესა და სხვა-

თა სახელებთან. თვით მარქსი და ენგელსი არ ამხვილებდნენ ყურადღებას თავისი ზოგიერთი შეხედულების ლიბერალიზმთან სიახლოვეზე, პირიქით, სადაც შეეძლოთ დისტანცირდებოდნენ მისგან და მას ბურჟუაზიულ იდეოლოგიად მიიჩნევდნენ, რომელიც უცხოა პროლეტარიატისათვის, მაგრამ მარქსის ზოგიერთი ცნობილი გამონათქვამი მაინც მიუთითებს ამ სიახლოვეს. კერძოდ: „ყოველთვის, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ესა თუ ის თავისუფლება, ამით კითხვის ნიშნის ქვეშ დგება თავისუფლება საერთოდ“, „თითოეულის თავისუფალი განვითარება წარმოადგენს პირობას ყველას თავისუფალი განვითარებისა“, „არ არსებობენ უფლებები ვალდებულებების გარეშე და ვალდებულებანი თავისუფლების გარეშე“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ მოყვანილი და მარქსისა და ენგელსის სხვა მსგავსი დებულებები უცხო იყო მარქსიზმის პოლიტიკურ-კლასობრივი ბუნებისათვის.

მას შემდეგ რაც გავარკვიეთ, თუ რა შეხედულებებმა და იდეებმა მოახდინა გავლენა სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტული, ისტორიულ-მატერიალისტური თეორიის ჩამოყალიბებაზე, განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს სახელმწიფო და სამართალი ამ თეორიის მიხედვით.

ზოგადად ამ თეორიას საფუძვლად უდევს ისტორიული მატერიალიზმის იდეები და კლასობრივი მიდგომა, ზოლო სახელმწიფო განიხილება, როგორც ეკონომიკურად გაბატონებული ფენის იარაღი. მისი თავისებურებანი კი, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება საზოგადოების ეკონომიკით, მისი ისტორიული განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე. აქედან გამომდინარე, ისტორიულ-მატერიალისტური თეორია სახელმწიფოსა და სამართალს განიხილავს, როგორც ზედნაშენურ მოვლენებს საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის მიმართებაში. ეს ზედნაშენი მოვლენები ეფუძნება მატერიალურ ურთიერთობებს, დაყრდნობილია რეალურ ბაზისზე და დამოკიდებულია მასზე.

„რეალური ბაზისი“, საწარმოო ურთიერთობანი არა მხოლოდ საფუძვლად უდევს პოლიტიკურ და იურიდიულ ზედნაშენს, არამედ განსაზღვრავს კიდევ მას: ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის ძირითადი მიზეზი და მამოძრავებელი ძალა, მარქსიზმის მიხედვით, მდგომარეობს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაში. ენგელსი ამბობდა, რომ საზოგადოებრივი ცვლილებებისა და პოლიტიკური გადატრიალებების ძირითადი

მიზნები წარმოებისა და გაცვლის წესების ცვლილებებში უნდა ვეძიოთ.

მარქსი და ენგელსი ყოველი საზოგადოებრივი ფორმაციის არქიტექტონიკასა და განვითარებას ხსნიან მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო ურთიერთობებით და ყოველთვის აკვირდებიან ამ საწარმოო ურთიერთობების შესაბამის ზედნაშენურ მოვლენებს. მარქსი თვლიდა, რომ წარმოების, გაცვლისა და მოხმარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება განსაზღვრული საზოგადოებრივი წყობა, ოჯახის, წოდებებისა და კლასების განსაზღვრული ორგანიზაცია - მოკლედ რომ ვთქვათ, განსაზღვრული სამოქალაქო საზოგადოება, ხოლო განსაზღვრულ სამოქალაქო საზოგადოებას კი შეესაბამება განსაზღვრული პოლიტიკური წყობა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მხოლოდ ოფიციალური გამოხატულებაა.

მარქსი ამტკიცებს, რომ „რეალური ბაზისი“, ე.ი. ეკონომიკა, ყოველთვის პირველადი და განმსაზღვრელი მომენტია პოლიტიკური და იურიდიული ზედნაშენისათვის. ეს საყოველთაო კანონია. მისი კონკრეტული გამოვლინებანი კი, ეპოქების მიხედვით იცვლება. მაგალითად, კაპიტალისტური ეკონომიკით ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის დეტერმინაცია, თავისი მეთოდებით, ფორმებითა და სხვა ფაქტორებით არ არის ზუსტი განმეორება ანტიკური სამყაროს სახელმწიფოების დეტერმინაციისა იმდროინდელი საწარმოო ურთიერთობებით. ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებშიც კი საწარმოო ურთიერთობების გადამწყვეტი ზეგავლენა სახელმწიფო წყობაზე მის საწყის ეტაპზე ხორციელდება, ხოლო ბოლოს - სხვაგვარად. აქ საქმე იმაშია, რომ თვით ეკონომიკის მდგომარეობა იცვლება, რის შედეგადაც ერთი და იგივე ეკონომიკური ბაზისი თავის გამოვლინებასაც და ასევე თავის გავლენასაც ზედნაშენურ მოვლენებზე ურიცხვი ვარიაციებითა და გრადაციებით ახდენს.

ზედნაშენური დაწესებულებების ეკონომიკური ბაზისით დეტერმინაციის იდეა, მარქსიზმის მიხედვით, უშუალოდ დაკავშირებულია ზედნაშენის - სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი, სამართლის - შეფარდებითი დამოუკიდებლობისა და მუდმივი აქტივობის იდეასთან. ორივე ეს იდეა ბუნებრივად ავსებს ერთმანეთს: მათი ერთიანობა ქმნის კლასობრივი საზოგადოების პოლიტიკურ-იურიდიული სისტემებისა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების თანაფარდობის თეორიულ მოდელს.

სახელმწიფოსა და სამართლის ერთ-ერთი ძირთადი დამახასიათებელი ნიშანი, მარქსიზმის მიხედვით, მათი კლასობრივი ხასიათია.

მარქსიზმის მიხედვით, კლასობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია აუცილებლად გადასცემს პოლიტიკურ და იურიდიულ ზედნაშენს კლასობრიობის ხასიათს. სახელმწიფო ჩნდება სწორედ კლასების გაჩენის შემდეგ. პირველყოფილ საზოგადოებაში, მარქსიზმის შესაბამისად, არ არის ჯერ კლასებად დაყოფა, რადგანაც არ არსებობს სათანადო ეკონომიკური საფუძვლები, ამიტომ არც სახელმწიფო არსებობს, ე.ი. არსებობდნენ ისეთი საზოგადოებები, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობაზე. პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხდება საზოგადოების გათიშვა კლასებად, რის შემდეგაც სახელმწიფო უკვე აუცილებლობას წარმოადგენს, რადგანაც ამ კლასებს შორის არსებობს ანტაგონისტური წინააღმდეგობა და სახელმწიფო საჭირო ხდება, ამასთან, იგი იქმნება, როგორც გაბატონებული კლასის იარაღი სხვა კლასების დასათრგუნად.

საზოგადოების კლასებად დაყოფის პირობებში პოლიტიკური და იურიდიული ზედნაშენის მოქმედებას განსაზღვრავს გაბატონებული კლასის ინტერესი. ეს ინტერესი გამოიხატება როგორც ამ ზედნაშენის მიერ წმინდა იძულებითი აქციების განხორციელებაში, რაც კლასობრივი ანტაგონიზმით არის განპირობებული, ასევე მის მიერ საერთო საქმეების შესრულებაშიც, რაც ყოველი საზოგადოების ბუნებიდან გამომდინარეობს.

მარქსიზმი სახელმწიფოსა და სამართლის ამ ორივე როლს განიხილავს ურყევ ერთიანობაში. საერთო საქმეების გაძღოლაც და გაბატონებული კლასის ინტერესებში კლასობრივ მოწინააღმდეგეთა დათრგუნვა პარალელურად მიმდინარე პროცესები არაა, მათ მრავალი ურთიერთმეხების წერტილი აქვთ.

მარქსიზმის მიხედვით, კლასობრივ საზოგადოებაში არ არსებობს სახელმწიფოს კლასობრივად ნეიტრალური ფუნქცია. მარქსიზმში კლასობრივი ბრძოლა გვევლინება ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოების ყოფიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებად. ასეთი საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში რაიმე არსებითი მოვლენა არ შეიძლება ახსნილი იყოს კლასობრივი ბრძოლის კონტექსტის გარეშე.

ამის გამო, სახელმწიფოს აპარატი გადაიქცევა დაწესებულებად, რომელიც ლეგიტიმურად ახორციელებს მიზანდასახულ ძალადობას საზოგადოებაში. სახელმწიფოს ბუნებაში მის იძულებით საწყისზე ხაზგასმა კანონზომიერია მარქსიზმისათვის.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ აღნიშნულია, რომ პროლეტარიატი, როდესაც მიაღწევს თავის პოლიტიკურ ბატონობას, განახორციელებს (სხვა ღონისძიებებთან ერთად) დესპოტურ ჩარევას საკუთრების უფლებასა და ბურჟუაზიულ საწარმოო ურთიერთობებში, წარმოების ყველა იარაღს თავს მოუყრის სახელმწიფოს ხელში, მოახდენს ტრანსპორტისა და კრედიტის ცენტრალიზაციას, დაადგენს ერთნაირად სავალდებულო შრომას ყველასათვის, შექმნის სამრეწველო არმიებს (შრომის მილიტარიზაცია „მანიფესტის“ ავტორების მიერ წარმოდგენილი იყო მისი ორგანიზაციის ერთ-ერთ საშუალებად). პროლეტარიატი, როგორც გაბატონებული კლასი, ძალით აუქმებს ძველ საწარმოო ურთიერთობებს, მანამ, სანამ მთელი წარმოება თავს არ მოიყრის „ინდივიდთა ასოციაციის“ ხელში, საჯარო ხელისუფლება შეინარჩუნებს თავის პოლიტიკურ ხასიათს, პოლიტიკური ხელისუფლება კი ეს არის ერთი კლასის ორგანიზებული ძალადობა მეორეზე, მისი დათრგუნვის მიზნით.

მარქსი თავის ძირითად ნაშრომში „კაპიტალი“ აღნიშნავდა, რომ „ძალადობა ყოველი ძველი საზოგადოების ბებიაქალია, როდესაც იგი ფეხმძიმედაა ახლით. თვით ძალადობა ეკონომიკური პოტენციაა“. ძალადობის პოლიტიკურ ასპექტს კი ეხება ენგელსი. იგი ამბობს, რომ სახელმწიფო — ეს ის წარმავალი დაწესებულებაა, რომელიც გამოიყენება ბრძოლის, რევოლუციის დროს, რათა ძალით იქნენ დათრგუნული მოწინააღმდეგენი. სანამ პროლეტარიატი საჭიროებს სახელმწიფოს, იგი საჭიროებს მას არა თავისუფლების ინტერესებში, არამედ მოწინააღმდეგეების დათრგუნვის ინტერესებში, ხოლო, როდესაც შესაძლებელი ხდება საუბარი თავისუფლებზე, მაშინ სახელმწიფო, როგორც ასეთი, წყვეტს არსებობას.

ენგელსის ამ სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო, რომელსაც პროლეტარიატი იყენებს მუშათა კლასის მოწინააღმდეგეთა ძალით დასათრგუნვად, არ ცნობს თავისუფლებას მათთვის, მაგრამ უზუნველყოფს კი იგი თავისუფლებას პროლეტარიატისათვის? ხომ ცნობილია, რომ, როდესაც კითხვის ქვეშ დგება ესა თუ ის თავისუფლება, ასევე

კითხვის ქვეშ დგება საერთოდ თავისუფლებაც, მით უმეტეს, როცა თავისუფლების სფეროდან ამოღებულია განსაზღვრული სოციალური ჯგუფები ძალისმიერი დათრგუნვის გზით.

მარქსმა და ენგელსმა სახელმწიფოს რეპრესიული ფუნქციის გარდა მისი სხვა სოციალური თვისებებიც წარმოაჩინეს, რომელნიც არ არიან დაკავშირებულნი ძალადობასთან, მაგრამ რევოლუციურ-სოციალისტური მოძრაობის იდეოლოგიაში სახელმწიფოს ბუნებაზე მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა თითქმის მთელი ერთობლიობა დაყვანილ იქნა ერთ ფორმულამდე - „სახელმწიფო არის ორგანიზაცია ერთი კლასის სისტემატური ძალადობისა მეორე კლასზე (მოსახლეობის ერთი ნაწილისა მეორეზე)“.

§2. სოციალისტური რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა

მარქსისტულ მოძღვრებებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეას. მარქსი მიუთითებს, რომ კლასობრივ ბრძოლას აუცილებლად მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურისაკენ. იგი „კაპიტალში“ ანალიზებს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებას. კაპიტალის კონცენტრაციისა და პროლეტარიატის უკიდურესი გაღატაკების ფაქტის დადგენის შემდეგ მარქსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობები აფერხებენ საწარმოო ძალების განვითარებას და ამიტომ სოციალისტური რევოლუცია და ამის შედეგად პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება გარდუვალია. სოციალისტური რევოლუცია პროლეტარიატის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს. პროლეტარიატს, როგორც „ბურჟუაზიის მესაფლავეს“, იმიტომ აქვს დაკისრებული ეს მისია, რომ იგი მარქსიზმის მიხედვით ერთადერთი კლასია საზოგადოებაში, რომელიც დაინტერესებული არაა კერძო საკუთრების შენარჩუნებით. მარქსიზმის მიხედვით, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პროლეტარიატი ამხობს ბურჟუაზიის ბატონობას და ხელში იღებს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რაც გამოიხატება პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაში. პროლეტარიატის დიქტატურა, მარქსიზმის შესაბამისად, არის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო.